



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1105
08/06/2018

ქალაქი ბათუმი

1105-05-4-201806081710



აბდულ კახიდის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში სარფის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“-ს საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, მერაბ თურმანიძის 2018 წლის 23 მაისის №1470-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 21 მაისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №5“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და აბდულ კახიდის 2018 წლის 04 ივნისის №7984/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. 2018 წლის 08 ივნისიდან დაინიშნოს აბდულ კახიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში სარფის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამდებობაზე, 12 თვით გამოსაცდელი ვადით.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა